ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 12.08.2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება № 23

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში ეროვნული გამოცდების შედეგად ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში ჩარიცხული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებისთვის 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მინიჭების/მოხსნის შესახებ

ა(ა)იპ - საქართვეს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის (ოქმი №8) და 2016 წლის 5 დეკემბრის (ოქმი №22) საოქმო დადგენილეებბის; უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების „2018 – 2019 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ" და 2019 წლის 13 აგვისტოს N28 ბრძანების „2019 – 2020 სასწავლო წელს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ", ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **მიენიჭოს** შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება 2021- 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის წლიური საფასურის 20%-ის (წლიური - 450, სემესტრული - 225 ლარი) ოდენობით, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ***მარიამ ხუნძაკიშვილს*** რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვა 50%-იანი

სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ჩაირიცხა უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, და 2020 - 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაასრულა მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

2. **მოეხსნას** შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის წლიური საფასურის 20%-ის (წლიური - 450, სემესტრულად - 225 ლარი) ოდენობით ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ***იოსებ ფულაძეს,*** რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მოიპოვა 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, ჩაირიცხა უნივერსიტეტის 1-3 პრიორიტეტული არჩევის პირობებში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულა მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

3. ბრძანების შინაარსი აისახოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზაში.

4. ბრძანების მე-3 პუნქტის აღსრულება დაევალოს სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს

6. .ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას; ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანატს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი)